საქართველოს მთავრობის

დადგენილება №262

2014 წლის 31 მარტი

ქ. თბილისი

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს თანდართული დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა.

2. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი შესრულების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტომ (შემდგომში – სააგენტო) უზრუნველყოს შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიებების განხორციელება.

3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით შესაბამისი აქტის გამოცემას.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ (შემდგომში - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებლისათვის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში დაცულ იმ მონაცემებზე ხელმისაწვდომობა, რომელიც საჭიროა ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ადმინისტრირებისათვის, სააგენტოსთან ურთიერთშეთანხმებულ ფორმატში.

5. სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ყოველწლიურად უზრუნველყოს სააგენტოსთვის რეგიონულ და მუნიციპალურ ჭრილში, ქალაქისა და სოფლის მიხედვით, ბუნებრივი მატების წლიური მაჩვენებლების მიწოდება ურთიერთშეთანხმებულ ფორმატში. ამასთან, 2015 წელს მოსაწოდებელი მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს 15 მაისიდან 1 ივნისამდე პერიოდში, ხოლო 2016 და ყოველ მომდევნო წელს მოსაწოდებელი მონაცემები – შესაბამისი წლის 1 იანვრიდან 15 იანვრამდე პერიოდში.

6. ეთხოვოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ხელი შეუწყონ ამ პროგრამის ორგანიზებულად განხორციელებას და შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სააგენტოსთვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელებას.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 მაისის დადგენილება №225 – ვებგვერდი, 28.05.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №664– ვებგვერდი, 31.12.2018წ.

მუხლი 2

დადგენილება, გარდა ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. დადგენილებით დამტკიცებული პროგრამა ამოქმედდეს 2014 წლის 1 ივნისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, საქართველოში, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, შობადობის მატერიალური წახალისების მეშვეობით.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №670 - ვებგვერდი, 31.12.2015წ.

მუხლი 2. პროგრამაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ პროგრამაში გამოყენებულ ტერმინებს ამ პროგრამის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ბენეფიციარი** – პირი, რომელსაც დადგენილი წესის შესაბამისად დანიშნული აქვს ფულადი დახმარება;

ბ) **ბუნებრივი მატება** - სხვაობა შობადობასა და სიკვდილიანობას შორის;

გ) **განცხადება** – უფლებამოსილი პირის მიერ ფულადი დახმარების დანიშვნის თაობაზე სააგენტოში წარდგენილი დადგენილი ფორმის მოთხოვნა;

დ) **გარდაცვალება** – პირის გარდაცვალება, რაც რეგისტრირებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ;

ე) **მაღალმთიანი რეგიონი** – მაღალმთიანი დასახლება, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ვ) **ოჯახი** – განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქ-მიანობას;

ზ) **სააგენტო** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო;

თ) **შინასამეურნეო საქმიანობა** – ოჯახის საკეთილდღეოდ მიმართული საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს საცხოვრებელი ადგილის ერთობლივ გამოყენებას, მის მოვლა-პატრონობას, ოჯახი-სათვის საჭირო საარსებო საშუალებათა მოპოვებასა და ამ საშუალებების (ფული, პროდუქტი, ტანსაცმელი და ა.შ.) ოჯახის საკეთილდღეოდ განკარგვა-განაწილებას;

ი) **ფულადი დახმარება** – პირის ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფა ამ პროგრამითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენლი წესით განსაზღვრული ოდენობითა და პირობებით;

კ) **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი** – მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი;

ლ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრი (შემდგომში – რეესტრი) – საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 4 იანვრის №116 ბრძანებით დამტკიცებული „მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №670 - ვებგვერდი, 31.12.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №664– ვებგვერდი, 31.12.2018წ.

მუხლი 3. პროგრამის ადმინისტრირება

1. პროგრამის ადმინისტრირების ორგანოა სააგენტო, რომლის უფლება-მოვალეობებია:

ა) ფულადი დახმარების დანიშვნა, მისი გაცემის ორგანიზება, შეჩერება, განახლება, შეწყვეტა და გადაანგარიშება;

ბ) თავის საქმიანობაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფისა და მართვის ავტომატიზებული საშუალებების, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემისა და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება (ელექტრონულ დოკუმენტს და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მატერიალურ დოკუმენტს);

გ) ფულადი დახმარების მიღებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების რეგულირება.

2. ფულადი დახმარების დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

3. სააგენტო უფლებამოსილია, პროგრამის ადმინისტრირებისას გამოიყენოს მის ხელთ არსებული სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ წარმოებული მონაცემთა ბაზები, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზა საზღვრის კვეთის თაობაზე ურთიერთშეთანხმებული ფორმატით.

4. პროგრამის მე-5 მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ გაითვალისწინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაცია ბენეფიციარის, ბენეფიციარის მშობლის/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის საზღვრის კვეთის თაობაზე.
5. პროგრამის მე-5 მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სააგენტო ხელმძღვანელობს „მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრში“ არსებული ინფორმაციით და არ არის უფლებამოსილი, მოახდინოს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრში ფიზიკურ პირთა შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების სისწორის შემოწმება ან რაიმე სახის კორექტირება.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №664– ვებგვერდი, 31.12.2018წ.

მუხლი 4. ფულადი დახმარების მიღებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები

1. პროგრამის ბენეფიციარს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ფულადი დახმარება ამ პროგრამით დადგენილი ოდენობითა და პირობებით;

ბ) დამატებით მიიღოს არაფულადი სარგებელი ან/და სხვა ფულადი გასაცემლები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

2. პროგრამის ბენეფიციარის მშობელი/მისი კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია:

ა) აცნობოს სააგენტოს იმ გარემოების დადგომის შესახებ, რომელსაც თან სდევს ფულადი დახმარების გაცემის შეწყვეტა, ამ გარემოების წარმოშობიდან არაუგვიანეს 15 დღისა;

ბ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობები.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №664– ვებგვერდი, 31.12.2018წ.

მუხლი 5. პროგრამის ბენეფიციარი, ფულადი დახმარების ოდენობა და დაფინანსების წყარო

1. ამ პროგრამის ბენეფიციარია 2014 წლის 1 ივნისიდან დაბადებული ბავშვი (ტყუპით მშობიარობის

შემთხვევაში – ბავშვები), რომლის ბიოლოგიური დედა/ოჯახი ფაქტობრივად ცხოვრობს საქართველოს იმ რეგიონში, სადაც ბავშვის (ბავშვების) დაბადების წლის წინა მე-2 ან მე-3 წელში წლიური ბუნებრივი მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი (ამ მაჩვენებელს განსაზღვრავს სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) არ ფიქსირდება ან ეს მაჩვენებელი არ აღემატება 200-ს და ამ ბავშვის (ტყუპით მშობიარობის შემთხვევაში – ერთ-ერთი ტყუპისცალი) დაბადების დღის მდგომარეობით, იგი არის მისი ბიოლოგიური დედის რიგით მესამე ან შემდეგი ცოცხლადშობილი შვილი.

1^1. პროგრამის ბენეფიციარია 2016 წლის პირველი იანვრიდან დაბადებული ცოცხლადშობილი ბავშვი (ტყუპით მშობიარობის შემთხვევაში – ბავშვები), რომლის ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ბენეფიციარს ენიშნება ყოველთვიური ფულადი დახმარება, მაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის – 200 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა დასახლებაში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის – 150 ლარის ოდენობით, 2 წლის ასაკის შესრულების თვის ჩათვლით.

2^1. ამ მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებულ ბენეფიციარს ენიშნება ყოველთვიური ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით, ერთი წლის განმავლობაში, თუ ბენეფიციარი პირველი ან მეორე შვილია და 200 ლარის ოდენობით, 2 წლის განმავლობაში, თუ ბენეფიციარი მე-3 ან მომდევნო შვილია.

3. ფულადი დახმარება გაიცემა განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის თვის შემდგომი თვის პირველი რიცხვიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

3^1. დანიშნული ფულადი დახმარების გაცემა გრძელდება იმ შემთხვევაშიც, თუ დანიშვნის მომდევნო წლებში, სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემებით, ფიქსირდება ბუნებრივი მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი, მონაცემების მოწოდების წლის წინა მე-2 და მე-3 წელში და ბენეფიციარის ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგიონი.

4. დაუშვებელია ორი ან მეტი ფულადი დახმარების მიღება ერთი და იგივე ბენეფიციარზე.

4^1. თუ ბენეფიციარს ერთდროულად წარმოეშვა ამ მუხლის პირველი და 1^1 პუნქტებით გათვალისწინებული დახმარების მიღების უფლება, მას აქვს, მხოლოდ ერთი სარგებლის მოთხოვნის უფლება მისივე არჩევით.

4^2. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა იწვევს ამ მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებული დახმარების შეწყვეტას.

5. პროგრამის (მათ შორის, პროგრამის ადმინისტრირების ხარჯების) დაფინანსების წყაროა წლიური საბიუჯეტო კანონით „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება“ პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნება.

6. პროგრამის საინფორმაციო კამპანიის მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით ,,სოციალური დახმარებების“ პროგრამის (პროგრამული კოდი: 35 02 02) ასიგნების ფარგლებში.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 მაისის დადგენილება №319 – ვებგვერდი, 02.05.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 ივნისის დადგენილება №418 – ვებგვერდი, 30.06.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 მაისის დადგენილება №225 – ვებგვერდი, 28.05.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №670 - ვებგვერდი, 31.12.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 თებერვლის დადგენილება №43 - ვებგვერდი, 04.02.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №664– ვებგვერდი, 31.12.2018წ.

მუხლი 6. ფულადი დახმარების გაცემა

1. ფულადი დახმარება გაიცემა საქართველოს ტერიტორიაზე, სოციალური დახმარების სახით.

2. ფულადი დახმარების მიღება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ბენეფიციარის/კანონიერი წარმომადგენლის რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად. მიმდინარე თვის ფულადი დახმარების გაცემა წარმოებს იმავე თვეში.

მუხლი 7. ფულადი დახმარების ოდენობის გადაანგარიშება

სააგენტოს მიერ ფულადი დახმარების გადაანგარიშება ავტომატურად განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ფულადი დახმარების ოდენობის ცვლილებების შემთხვევაში ან/და დასახლებისთვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭებისას, ხოლო ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის (მაღალმთიანი რეგიონიდან სხვა დასახლებაში გადასვლა ან პირიქით) შეცვლისას, თუ ახალი მისამართი აკმაყოფილებს ამ პროგრამის პირობებს ან/და, თუ ბენეფიციარის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა მოიპოვა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი, გადაანგარიშება განხორციელდება სააგენტოში მიმართვისა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №670 - ვებგვერდი, 31.12.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №664– ვებგვერდი, 31.12.2018წ.

მუხლი 8. ფულადი დახმარებიდან თანხის დაკავება

1. ფულადი დახმარებიდან თანხის დაკავება შეიძლება მხოლოდ სააგენტოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. ზედმეტად დარიცხული ფულადი დახმარების დაბრუნება შესაძლებელია სააგენტოს გადაწყვეტილებით დანიშნული ფულადი დახმარების არაუმეტეს 20%-ის დაკავების მეშვეობით, იმ შემთხვევებში, როდესაც ზედმეტი თანხის დარიცხვა გამოწვეულია ბენეფიციარის მშობლის/მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასწორი მონაცემების წარდგენით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №664– ვებგვერდი, 31.12.2018წ.